საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამასიის ზავი

ამასიის ზავი, ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წ. 29 მაისს ქ. ამასიაში (თურქეთი) დადებული ზავი.

ამ ზავით დამთავრდა ირან-ოსმ. ხანგრძლივი ომი (1514–55). საზავო მოლაპარაკება დაიწყო 1554. ორივე მხარე თანახმა იყო ზავის დადებაზე. ქართლის მეფე ლუარსაბ I და იმერეთის მეფე ბაგრატ III ყოველნაირად ცდილობდნენ დაზავების ჩაშლას, მაგრამ უშედეგოდ. ა. ზ-ით ირანს ერგო ჩრდ. და სამხრ. აზერბაიჯანი, აღმ. სომხეთი, აღმ. ქურთისტანი, ქართლისა და კახეთის სამეფოები, სამცხე-საათაბაგოს აღმ. ნაწილი; ოსმალეთს – არაბეთის ერაყი, ქურთისტანის დას. ნაწილი, სომხეთის დას. ნაწილი (ვანის ტბის რ-ნი), იმერეთის სამეფო გურია-სამეგრელოს სამთავროებითურთ, სამცხე-საათაბაგოს დას. ნაწილი (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი). ყარსის ოლქი მიჩნეულ იქნა ნეიტრალურ ზონად, ყარსის ციხესიმაგრე დაანგრიეს. ა. ზ-მა საფუძველი ჩაუყარა ირან-ოსმ. ზავებს XVI–XVII სს-ში. ეს ზავი აღრმავებდა საქართველოს ფეოდ. დაშლილობას.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925 [ტ.] 2; ისქანდერუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე , საქართველო XI–XVIII საუკუნეებში, იქვე წგ. 6, თბ., 1973; გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI – XVII სს.), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მ ი ს ი ვ ე , ქართული ფეოდალური წყობილება

XVI–XVII სს-ში, თბ., 1958; კ ა ც ი ტ ა ძ ე დ., XVI–XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, «კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული», 1962, [ტ.] 2; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს., თბ., 1971; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

დ. კაციტაძე